გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 51

2025 წლის 11 აპრილი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.42.12.000.269) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 25 მარტის N5/15730 წერილის შესაბამისად დადგა საკითხი, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შინდისის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 81.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 66.42.12.000.269) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, შემდგომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადასაცემად. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისში გეგმავს „შინდისის გმირობის" სამუზეუმო კომპლექსის გაფართოებას, რისთვისაც ესაჭიროება მითითებული 81.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 66.42.12.000.269).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია შინდისის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 81.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 66.42.12.000.269) გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლისა და 2025 წლის 25 მარტის N5/15730 წერილის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: შინდისის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 81.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.42.12.000.269.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**